მეოთხე სექცია
განჩინება
N 22318/10

შპს სტუდია მაესტრო და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლომ (მეოთხე სექცია), 2015 წლის 30 ივნისის კომიტეტის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:
პოლ მაჰონი. პრეზიდენტი,
ნონა წოწორია
ფარის ვეჰაბოვიჩი, მოსამაართლეები,
და ფატოშ არაჩი, სექციის განმწესრიგებელი მოადგილე,
მხედველობაში მიიღო 2010 წლის 12 აპრილს შემოტანილი განცხადება,
მხედველობაში მიიღო 2015 წლის 3 აპრილს მოპასუხე მთავრობის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური დეკლარაცია, რომელიც სასამართლოსგან ითხოვს სარჩელის საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვას და მომჩივანთა პასუხი ამ განცხადებაზე, განხილვის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები და პროცედურა

1. მომჩივნების სია წარმოდგენილია დანართში. ისინი წარმოდგენილი არიან ქალბატონი თ. აბაზაძის, ადვოკატის მიერ , რომელიც საქმიანობას ახორციელებს თბილისში.
2. საქმის ფაქტები, რომლებიც მოწოდებულ იქნა მხარეების მიერ, შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად.
3. პირველი მომჩივანი კერძო სატელევიზიო კომპანიაა, ხოლო მეორე და მესამე ტელეკომპანიაში დასაქმებული ჟურნალისტები.
4. მეოთხე მომჩივანი პრეს-ოფიცერია, რომელიც არ ასოცირდება პოლიტიკურ პარტიასთან.
5. 2009 წლის აპრილსა და ივნისის დასასრულს შორის, ათასობით ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერმა ჩაატარეს რამდენიმე დემონსტრაცია თბილისში და ქვეყნის კიდევ რამდენიმე დიდ ქალაქში, ყოველდღიურად პრეზიდენტ მ. სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით. ამ პერიოდის განმავლობაში მოხდა რამდენიმე ინციდენტი, სადაც პოლიციამ სავარაუდოდ გამოიყენა გადამეტებული ძალა დემონსტრანტების წინააღმდეგ. მოცემული სარჩელი ერთ-ერთ ასეთ ინციდენტს ეხება, რომელიც მოხდა 2009 წლის 15 ივნისს.
6. აღსანიშნავად, იმ დღეს ახალგაზრდული ოპოზიციური ჯგუფის დაახლოებით 50 წევრი და მხარდამჭერი შეიკრიბა თბილისის პოლიციის

მთავარ სამმართველოსთან ოპოზიციის წევრი აქტივისტების დაკავების გასაპროტესტებლად, რომლებიც დაკავებული იყვნენ რამდენიმე დღით ადრე.

7. მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნები ინსტრუქტირებულნი იყვნენ დამსაქმებლების, სატელევიზიო კომპანიისა და პოლიტიკური პარტიის მიერ, დასწრებოდნენ დემონსტრაციას რათა გაეშუქებინათ მიმდინარე მოვლენები.
8. როდესაც სამივე მომჩივანი მივიდა ადგილზე, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინ, დემონსტრაციის დაწყებისთანავე გახდნენ მოწმეები, თუ როგორ დაიწყო დემონსტრანტების დევნა და განურჩევლად ცემა ხელკეტებით და ბეისბოლის ჯოხებით პოლიციის ოფიცრების რაზმმა, რომლებსაც ზოგს ეცვა უნიფორმა და ჩაფხუტი, ხოლო ზოგს სამოქალაქო ტანსაცმელი.
9. მას შემდეგ რაც მესამე და მეოთხე მომჩივნებმა დაიწყეს ვიდეო და ფოტო მასალის გადაღება დემონსტრაციის აღსაწერად, რამდენიმე პოლიციის ოფიცერმა ცალკეულ ჯგუფებად შემოარტყა მათ ალყა და ძალით გამოყენებით წაართვა კამერები.
10. მესამე მომჩივნის დაზიანებები არ იყო სერიოზული და მას არ მოუთხოვია სამედიცინო დახმარება, ხოლო მეოთხე მომჩივანი იქნა ჰოსპიტალიზირებული მარჯვენა ხელის კონტუზიის დიაგნოზით და დაედო თაბაშირი. სამედიცინო ანგარიშში ასევე იქნა შეტანილი რომ მას ჰქონდა დაჟეჟილობები ზურგის მიდამოში.
11. მეორე დღეს, 2009 წლის 16 ივნისს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ საჯაროდ მოიხადა ბოდიში ყველა ჟურნალისტთან რომლებმაც მიიღეს დაზიანებები დემონსტრაციის აღწერის დროს. მან საკუთარ თავზე აიღო პოლიციის მიერ ჟურნალისტებისთვის მიყენებული შეურაცხყოფის გამოძიება.
12. 2009 წლის 19 ივნისს მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნებმა გენერალური პროკურორის ოფისისგან მოითხოვეს პოლიციელების წინააღმდეგ კრიმინალური საქმის წარმოება, რომლებმაც ხელი შეუშალეს ჟურნალისტებს თავისი საქმიანობის განხორციელებაში. თუმცა არცერთ მომჩივანს სისხლის სამართლის საქმესთან მიმართებაში არ მიეცა დაზარალებულის სტატუსი, ასევე არ არსებობს არანაირი ინფორმაცია რომლებიც მათ მიეწოდათ გამოძიების წარმოების შესახებ.

პრეტენზიები

13. მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნები ჩიოდნენ კონვენციის მე-ე მუხლის შესაბამისად, რომ მათ წინააღმდეგ ჩაიდინეს არაადამიანური მოპყრობა დემონსტრაციის გაშუქებისას 2009 წლის 15 ივნისს და რომ არ ჩატარებულა ეფექტური გამოძიება.
14. კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, ოთხივე მომჩივანი ჩიოდა რომ პოლიციამ მათ ხელი შეუშალა მედია-აქტივობის განხორციელებაში.

სამართალი

15. მას შემდეგ რაც 2014 წლის 15 სექტემბერს საქმე წარედგინა მოპასუხე მთავრობას კონვენციის მე-3 და მე-10 მუხლების მიხედვით, 2015 წლის 10 მარტით დათარიღებული წერილით მთავრობამ შეატყობინა სასამართლოს რომ მათ სურდათ დეკლარაციის გაკეთება საჩივრის შედეგად გამოწვეული საკითხების გადასაჭრელად.
16. საბოლოოდ, მთავრობამ აღიარა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, მეოთხე მომჩივნის (ქალბატონი ნ. ინასარიძის) მიმართ მიყენებული ფიზიკური დაზიანებებზე ეფექტური გამოძიების არჩატარების საფუძველზე, ასევე კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა, რაც გულისხმობს მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნების (ქალბატონი თ. ლალიაშვილი, ბატონი შ. კაპანაძე და ქალბატონი ნ. ინასარიძე) ჟურნალისტური აქტივობის შეზღუდვას დემონსტრაციის მიმდინარეობისას, 2009 წლის 15 ივნისს.
17. კონვენციის დარღვევის შედეგად გამოწვეული სიტუაციის კომპენსირებისთვის, მთავრობამ თავის თავზე აიღო ეფექტური გამოძიების ჩატარება ზემოაღნიშნული სამი მომჩივანს საჩივრების საფუძველზე. (იხ. მე-12 პარაგრაფი) ასევე მატერიალური და მორალური ზიანის და ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად მთავრობამ აიღო ვალდებულება ქალბატონ თ. ლალიაშვილს და ბატონ შ. კაპანაძეს გადაუხადოს 1500 (ათას ხუთასი) ევრო, ასევე ქალბატონ ნ. ინასარიძეს გადაუხადოს 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ევრო. აღნიშნული თანხა კონვერტირებულ უნდა იქნას მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად და განთავისუფლებული იქნება ნებისმიერი გადასახადისგან. გადახდა უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების მთავრობისთვის შეტყობინებიდან 3 თვის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ გადახდა არ განხორციელდა ზემოხსენებულ 3 თვის ვადაში, გადასახდელ თანხას დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური

ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი

18. აღნიშნული აღიარებების და ვალდებულებების საფუძველზე, მთავრობამ შესთავაზა მომჩივნებს უარი ეთქვათ სხვა პრეტენზიებზე და დათანხმებოდნენ სასამართლოს მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას რის შემდეგადაც საქმე დაიხურებოდა.
19. 2015 წლის 15 მაისს სასამართლომ მომჩივნებისგან მიიღო წერილი, რომლის მიხედვითაც მომჩივნები დაეთანხმნენ მთავრობის მიერ შემოთავაზებულ პირობებს და უარი განაცხადეს სხვა მოთხოვნებზე, ასევე არ იყვნენ საქმის დახურვის წინააღმდეგნი. აგრეთვე, მათ გამოხატეს კმაყოფილება მთავრობის მიერ მეოთხე მომჩივანთან (ქალბატონი ნ. ინასარიძე) მიმართებაში კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევის და კონვენციის მე-10 მუხლის სამივე მომჩივნის წინააღმდეგ დარღვევის აღიარებასთან დაკავშირებით.
20. სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივნები ცალსახად ეთანხმებიან მთავრობის მიერ შემოთავაზებულ პირობებს და საქმე უნდა განიხილებოდეს როგორც ორ მხარეს შორის მორიგება. ამიტომ სასამართლო მხედველობაში იღებს მორიგების პირობებს. შეახსენებს რა მომჩივნებს, რომ მორიგების პირობების აღსრულების ზედამხედველობა მინისტრთა კომიტეტის პრეროგატივაა (კონვენციის 39 მუხლის § 4 მუხლი), სასამართლო კმაყოფილია რომ შეთანხმება ემყარება ადამიანთა უფლებების პატივისცემას, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში და ვერ ხედავს საქმის განხილვის გაგრძელების აუცილებლობას.
21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს საქმის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვას.

ამ მიზნით, სასამართლო, ერთხმად,

გადაწყვეტილებას იღებს ამორიცხოს საქმე განსახილველ საქმეთა ნუსხიდან კონვეციის 39-ე მუხლის თანახმად.

შედგენილია ინგლისურად და წერილობით ეცნობა 2015 წლის 23 ივლისს

სექციი განმწესრიგებელი მოადგილე — თავმჯდომარე

ფატოშ არაჩი — პოლ მაჰონი

დანარ თი

1. შპს სტუდია მაესტრო (“მომჩივანი კომპანია”) რეგისტრირებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია 2002 წლის 2 ივლისს, მისი მთავარი ოფისი განთავსებულია თბილისში

2. ქ-ნი თეონა ლალიაშვილი (“მეორე მომჩივანი”) არის საქართველოს მოქალაქე რომელიც დაიბადა 1982 წლის 29 ნოემბერს და ცხოვრობს თბილისში.

3. ბ-ნი შოთა კაპანაძე (“მესამე მომჩივანი”) არის საქართველოს მოქალაქე რომელიც დაიბადა 1967 წლის 29 აგვისტოს და ცხოვრობს თბილისში.

4. ქ-ნი ნესტან ინასარიძე (“მეოთხე მომჩივანი”) არის საქართველოს მოქალაქე რომელიც დაიბადა 1967 წლის 29 აგვისტოს და ცხოვრობს თბილისში.